რეალიზაცია კომპენსაციის გარეშე

- ძირითად მენიუში აირჩიეთ გაყიდვების ქვესისტემა
- გაყიდვების ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი **„რეალიზაცია“**
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს (როგორ გავაფორმო რეალიზაცია)
- აირჩიეთ ოპერაციის ტიპი „რეალიზაცია კომპენსაციის გარეშე“
- აირჩიეთ მყიდველი. მყიდველის (მყიდველის ხელშეკრულების) არჩევისას ავტომატურად ივსება ანგარიშსწორების ანგარიშები მყიდველის ხელშეკრულების პირობაში მითითებული მნიშვნელობების მიხედვით (როგორ ავაწყო მყიდველის აღრიცხვის ანგარიშები).



- შეავსეთ ცხრილი მისაწოდებელი საქონლით ან მომსახურებით, რომლის მიწოდებაც ხდება უსასყიდლოდ
- დააჭირეთ „გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკს.

გადასახადები

კომპენსაციის გარეშე მიწოდება იბეგრება დღგ-ით, აღნიშნული ოპერაცია დარიცხული დღგ-ის ანალიზში აისახება „მიწოდება კომპენსაციის გარეშე“ მუხლის ქვეშ.

კომპენსაციის გარეშე რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის დათვალიერება და ცვლილება შესაძლებელია „გადასახადების“ ლინკზე დაჭერით. გახსნილ გადასახადების ფორმაზე ავტომატურად მონიშნულია ალამი „იბეგრება მოგების გადასახადით“ და დაბეგვრის ობიექტი „საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება“:



მოგების გადასახადის დარიცხვა შეიძლება ხდებოდეს ან კაპიტალის ანგარიშთან კორესპონდენციით, ან მოგების გადასახადის ხარჯის ანგარიშთან კორესპონდენციით. ეს ანგარიში, ისევე როგორც თავად მოგების გადასახადის ანგარიში და დებიტორული დავალიანების გადაფარვის ანგარიში, შეივსება ძირითადი ანგარიშების აწყობის მიხედვით. (როგორ ავაწყოთ ძირითადი ანგარიშები).

ბუღალტრული გატარებები

კომპენსაციის გარეშე რეალიზაციის ბუღალტრული გატარებები ასეთია:

ანგარიში დბ	ანგარიში კრ	თანხა	შინაარსი
14xx - მოთხოვნები მიწოდებიდან	61xx - შემოსავალი რეალიზაციიდან	847,46	შემოსავალი რეალიზაციიდან
14xx - მოთხოვნები მიწოდებიდან	33xx - გადასახდელი დღგ	152,54	დღგ-ის დარიცხვა
7xxx - დებიტორული დავალიანების ჩამოწერის ხარჯის ანგარიში	14xx - მოთხოვნები მიწოდებიდან	1000,00	ჩამოწერილია დებიტორული დავალიანება
5xxx - გაუნაწილებელი მოგება	33xx - გადასახდელი მოგების გადასახადი	176,47	მოგების გადასახადის დარიცხვა

მოგების გადასახადის დასაბეგრი თანხა მიიღება განხორციელებული განაცემის/გაწეული ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის შედეგად. მოგების გადასახადი იანგარიშება ამ დასაბეგრი თანხის 15%-ზე გამრავლებით. ჩვენ შემთხვევაში 176,47=(1000,00/0,85)*15%